არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№041/01 2019 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარებისა და უვადოდ დაკავებული აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობებისთვის ატესტაციის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 37^1-ე, 37^2-ე და 37^3-ე მუხლების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ო“ პუნქტებისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის, აგრეთვე მე-16, მე-17, მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დანართი №1 -ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დანართი №2 -ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის უვადოდ დაკავებული აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობებისთვის ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები დანართი №3 -ის შესაბამისად.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეს ბრძანება დაუყონებლივ გამოქვეყნდეს საჯაროდ.
5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის მიერ კომპეტენციის ფარგლებში ამ ბრძანების შესრულების ორგანიზება და შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციის კოორდინატორს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისა და დანიშვნის პირობები განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს ნორმატიული აქტით მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი განსაზღვრულ ვადაში ერთხელ, ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით დადგენილი წესით.

3. უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია გაითვალისწინოს კონკურსანტის:

ა) განათლების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

ბ) აკადემიური ხარისხი;

გ) შრომითი (სამეცნიერო-პედაგოგიური ან/და სხვა) გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

დ) პუბლიკაციების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

ე) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები (პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები და სხვ.);

ვ) საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი;

ზ) მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

თ) მოხსენებები ეროვნულ და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

ი) საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

კ) საერთაშორისო სტიპენდიები;

ლ) საერთაშორისო სამეცნიერო წოდებები;

მ) საავტორო გამოგონებები;

ნ) თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან;

ო) მეცნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა;

პ) სხვა სახის აქტივობა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში (ჯილდო, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა).

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის საკონკურსო კომისია

1. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია.

2. აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, შესარჩევ საკონკურსო კომისიაში ჩართული უნდა იყოს გამოცხადებული ვაკანსიის პროფილით დარგობრივი სპეციალისტებისა და უნივერსიტეტის გარედან მოწვეული ექსპერტები.

3. აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისია იმგვარად უნდა დაკომპლექტდეს, რომ კომისიაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რაოდენობა არ აღემატებოდეს კომისიის საერთო წევრთა რაოდენობის ნახევარს მაინც.

4. საკონკურსო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.

6. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

7. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).

8. საკონკურსო კომისიის მიერ აკადემიური პერსონალის საკონკურსო განაცხადების განხილვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში, ზეპირი მოსმენის ფორმით.

9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით გააგრძელოს აკადემიური პერსონალის საკონკურსო განაცხადების განხილვა გონივრული ვადით, კონკურსანტთა რაოდენობისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მოცულობის გათვალისწინებით.

10. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალის საკონკურსო განაცხადი

1. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დანართი №1-ის ფორმის შესაბამისად (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს განცხადება ერთზე მეტი საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე);

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

გ) CV და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია დანართი №2-ის ფორმის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ:

ა) ბოლო 6 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი პროგრამები;

ბ) ინფორმაცია ბოლო 6 წლის განმავლობაში მოპოვებული საერთაშორისო სტიპენდიების, საგრანტო

პროექტების ხელმძღვანელობის, პროექტებში და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ;

გ) საერთაშორისო სამეცნიერო წოდებები და საავტორო გამოგონებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით.

3. კონკურსანტების მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5. საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალში მითითებული ნებისმიერი ნაშრომი.

6. საკონკურსო კომისიაში არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში დგება საკითხი კონკურსში მონაწილეობიდან მოხსნის შესახებ, რასაც საკონკურსო კომისია აფიქსირებს ოქმში და წერილობით აცნობებს კონკურსანტს.

7. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დოკუმენტაციის მიღებისა და რეგისტრაციის ორგანიზებულად წარმართვის უზრუნველყოფა ევალება უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს.

მუხლი 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკრეტულ არგუმენტებზე მითითებით, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია კონკურსის შედეგები გასაჩივროს და წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

2. კონკურსანტის წერილობითი საჩივრის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოცემს განკარგულებით დოკუმენტს სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც დაკომპლექტება იმავე წესით, რომლითაც საკონკურსო კომისია და მასში არ შევლენ საკონკურსო კომისიის წევრები.

3. სააპელაციო კომისია კონკურსანტის საჩივარს განიხილავს იმავე წესით, რომლითაც საკონკურსო კომისია.

მუხლი 7. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. შესაბამის კონკურსში გამარჯვებულ აკადემიურ პერსონალთან უნდა გაფორმდეს ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება/წყდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია დადგენილი წესით, შეთავსებით იკავებდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის თანამდებობას.

4. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია დადგენილი წესით, შეთავსებით იკავებდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობას.

5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების სემესტრის სასწავლო პროცესის განრიგით.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის უფლებაუნარიანობა

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში დადგენილი წესით;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

დ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო განცხადების ფორმა

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა საკონკურსო კომისიას

მოქალაქე _____

_____

_____
(კონკურსანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კომპეტენციის ფარგლებში მსურს მონაწილეობა მივიღო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის _____ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. მიმართულება: _____

ვადასტურებ, რომ გავეცანი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში არსებულ აკადემიური თანამდებობების დაკავების წესის შესახებ რეგულაციებს.

ხელმოწერა:

თარიღი:

საკონტაქტო ინფორმაცია /მისამართი/:

ტელეფონი / ელ.ფოსტა:

_____

ივსება უნივერსიტეტის პერსონალის მიერ:

განცხადების მიღების თარიღი:

განცხადება ჩავიბარე:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში გამოცემული
ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი ს
ჩამონათვალი

გვარი, სახელი _____

№	ნაშრომების დასახელება	დაბეჭდილია	დასახელება გამომცემლის ჟურნალის	გამოცემის წელი, ჟურნალის №	ნაბეჭდი თაბახის რაოდენობა	შენიშვნა (მიუთითეთ თანაავტორი)
1	2	3	4	5	6	7

პირადი ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

№041/01 2019 წლის 2 დეკემბერი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

მუხლი 2. სამეცნიერო პერსონალი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

2. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი.

3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, კონკურსის საფუძველზე ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დადგენილი წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 3. სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. უნივერსიტეტში სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევისა და დანიშვნის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

2. საქართველოს ნორმატიული აქტით მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი განსაზღვრულ ვადაში ერთხელ, ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით დადგენილი წესით.

3. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტი დადგენილი წესით.

4. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტი დადგენილი წესით.

5. პოსტდოქტორანტად დადგენილი წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

6. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია გაითვალისწინოს კონკურსანტის:

ა) განათლების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

ბ) აკადემიური ხარისხი;

გ) შრომითი გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

დ) პუბლიკაციების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან;

ე) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები (პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები და სხვ.);

ვ) საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი;

ზ) მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

თ) მოხსენებები ეროვნულ და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

ი) საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში;

კ) საერთაშორისო სტიპენდიები;

ლ) საერთაშორისო სამეცნიერო წოდებები;

მ) საავტორო გამოგონებები;

ნ) თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან;

ო) მეცნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა;

პ) სხვა სახის აქტივობა უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში (ჯილდო, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა).

მუხლი 4. სამეცნიერო პერსონალის საკონკურსო კომისია

1. სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია.

2. სამეცნიერო პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, შესარჩევ საკონკურსო კომისიაში ჩართული უნდა იყოს გამოცხადებული ვაკანსიის პროფილით დარგობრივი სპეციალისტებისა და უნივერსიტეტის გარედან მოწვეული ექსპერტები.

3. სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისია იმგვარად უნდა დაკომპლექტდეს, რომ კომისიაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რაოდენობა არ აღემატებოდეს კომისიის საერთო წევრთა რაოდენობის ნახევარს მაინც.

4. საკონკურსო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.

6. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

7. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას კომისიის ფუნქციონირების ადგილზე).

8. საკონკურსო კომისიის მიერ სამეცნიერო პერსონალის საკონკურსო განაცხადების განხილვა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში, ზეპირი მოსმენის ფორმით.

9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით გააგრძელოს სამეცნიერო პერსონალის საკონკურსო განაცხადების განხილვა გონივრული ვადით, კონკურსანტთა რაოდენობისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მოცულობის გათვალისწინებით.

10. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 5. სამეცნიერო პერსონალის საკონკურსო განაცხადი

1. სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დანართი №1-ის ფორმის შესაბამისად (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს განცხადება ერთზე მეტი საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე);

ბ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

გ) CV და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია დანართი №2-ის ფორმის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ:

ა) ბოლო 6 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი პროგრამები;

ბ) ინფორმაცია ბოლო 6 წლის განმავლობაში მოპოვებული საერთაშორისო სტიპენდიების, საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის, პროექტებში და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ;

გ) საერთაშორისო სამეცნიერო წოდებები და საავტორო გამოგონებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით.

3. კონკურსანტების მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5. საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალში მითითებული ნებისმიერი ნაშრომი.

6. საკონკურსო კომისიაში არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში დგება საკითხი კონკურსში მონაწილეობიდან მოხსნის შესახებ, რასაც საკონკურსო კომისია აფიქსირებს ოქმში და წერილობით აცნობებს კონკურსანტს.

7. უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დოკუმენტაციის მიღებისა და რეგისტრაციის ორგანიზებულად წარმართვის უზრუნველყოფა ევალება უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს.

მუხლი 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკრეტულ არგუმენტებზე მითითებით, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია კონკურსის შედეგები გასაჩივროს და წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

2. კონკურსანტის წერილობითი საჩივრის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოცემს განკარგულებით დოკუმენტს სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც დაკომპლექტება იმავე წესით, რომლითაც საკონკურსო კომისია და მასში არ შევლენ საკონკურსო კომისიის წევრები.

3. სააპელაციო კომისია კონკურსანტის საჩივარს განიხილავს იმავე წესით, რომლითაც საკონკურსო კომისია.

მუხლი 7. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. სამეცნიერო პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება/წყდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია დადგენილი წესით, შეთავსებით იკავებდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის თანამდებობას.

3. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია დადგენილი წესით, შეთავსებით იკავებდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობას.

მუხლი 8. სამეცნიერო პერსონალის უფლებაუნარიანობა

1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. მეცნიერს უფლება აქვს:

ა) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ე) განახორციელოს საქართველოს ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

3. მეცნიერი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

4. უნივერსიტეტი/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო განცხადების ფორმა

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა საკონკურსო კომისიას

მოქალაქე _____

_____

_____
(კონკურსანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კომპეტენციის ფარგლებში მსურს მონაწილეობა მივიღო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის _____ თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

მიმართულება: _____

ვადასტურებ, რომ გავეცანი ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში არსებულ სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესის შესახებ რეგულაციებს.

ხელმოწერა:

თარიღი:

საკონტაქტო ინფორმაცია /მისამართი/:

ტელეფონი / ელ. ფოსტა:

_____

ივსება უნივერსიტეტის პერსონალის მიერ:

განცხადების მიღების თარიღი:

განცხადება ჩავიბარე:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად

ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში გამოცემული
ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი ს
ჩამონათვალი

გვარი, სახელი _____

№	ნაშრომების დასახელება	დაბეჭდილია	დასახელება გამომცემლის ჟურნალის	გამოცემის წელი, ჟურნალის №	ნაბეჭდი თაბახის რაოდენობა	შენიშვნა (მიუთითეთ თანაავტორი)
1	2	3	4	5	6	7

პირადი ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

№041/01 2019 წლის 2 დეკემბერი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის უვადოდ დაკავებული აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობებისთვის ატესტაციის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ ნორმებით განისაზღვრება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) უვადოდ დაკავებული აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობებისთვის ატესტაციის ჩატარების წესი, ატესტაციის პროცედურული საკითხები და საატესტაციო კომისიის მუშაობის წესი.

2. ატესტაციის მიზანია შესაბამისი პერსონალის პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობებისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. ატესტაციის ჩატარების შედეგად:

ა) საატესტაციო კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნარჩუნდება შრომითი ურთიერთობა;

ბ) საატესტაციო კომისიის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უწყდება შრომითი ურთიერთობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ატესტაციის ჩატარების წესი

1. უნივერსიტეტის უვადოდ დაკავებული აკადემიური და/ან სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეული პერსონალი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაცია უნდა ეფუძნებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. ატესტაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა წრეს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

3. შესაბამის პერსონალს ატესტაცია გავლილად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის ჩატარებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

4. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5. თუ შესაბამისი პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეფასებულ იქნა არადამაკმაყოფილებლად, საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ატესტაციის ჩატარებამდე მისი ბოლო 5 წლის საქმიანობა მოიცავს განსაკუთრებულ პროფესიულ ან/და სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

მუხლი 3. საატესტაციო კომისია

1. ატესტაციას ახორციელებს საატესტაციო კომისია, რომელიც იქმნება ატესტაციის ჩატარების წინ, რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

2. საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან მისი თავმჯდომარე, მდივანი და სხვა წევრები.

3. დაუშვებელია საატესტაციო კომისიის წევრი იყოს ატესტაციას დაქვემდებარებული პირი.

4. საატესტაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. საატესტაციო კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი. საატესტაციო კომისიის წევრს უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

6. საატესტაციო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე წესითა და პირობებით და უნივერსიტეტის სხვა შესაბამისი განკარგულებითი დოკუმენტებით.

7. ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიას თითოეული ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოაქვს ერთ-ერთი გადაწყვეტილება (დასკვნა):

ა) პირი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) პირი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

8. საატესტაციო კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

9. საატესტაციო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესითა და პირობებით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საატესტაციო კომისიის მიერ.

10. საატესტაციო კომისიის დასკვნა, მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა უნდა გამოქვეყნდეს საატესტაციო კომისიის მუშაობის ადგილზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

11. ატესტაციას დაქვემდებარებული პირის მიერ, საატესტაციო კომისიის დასკვნის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საპრეტენზიო განაცხადი, რომელიც განიხილება იმავე საატესტაციო კომისიის მიერ, საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა და საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაცია (საატესტაციო მასალებთან ერთად, რომელსაც მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს უნივერსიტეტის საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი პერსონალი) წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

12. შესაბამისი პერსონალის ატესტაციის შედეგების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტი, მისი გამოცემიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

13. ატესტაციის შედეგების შესახებ ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი და თითოეული პირის შესახებ დასკვნა უნდა მოთავსდეს დასაქმებულის პირად საქმეში.

14. ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული სარჩელი წარადგინოს თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.